

გაზეთის ფასი:

გაზეთით თვილში და გარეშე ადგილებში: **ბაუგზაფენლოთ:**  
 მართის წლისა — 7 მან. — — — 6 მან.  
 ნახევრის წლისა — 4 — — — 3 — 50 კ.  
 სამის თვისა — 2 — 50 კ. — — — 2 —  
 ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შუბრი.  
 „დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

# დროება

თვილში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ბალაიანის პროსპექტზე, რეიტერის სახლში.  
 თვილისს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: **Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.**  
 რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი **ზანცხადება** სხვა და სხვა ენებზედ. შასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასობით გაზეთის სტრიქონზედ 8 კპ.

## საკონსტიტუციო და სალიტერატურო გაზეთი.

### ზანცხადება

საკონსტიტუციო და სალიტერატურო

### „დროების“

გამოცემაზე

1867 წელს.

გაზეთი „დროება“ 1867 წელს გამოვა იმავე მიმართულებით და იმავე რიგით, როგორც გამოდიოდა 1866 წელს.

„დროება“ უწინდელათვე გამოვა კვირაში ერთხელ, პარასკევობით, ერთის თაბანიდამ თაბან ნახევრამდე.

შასი მთელის წლის ნუმრებისა არის: გაუგზავნელათ თვილისში 6 მანეთი, გაგზავნით თვილისში და გარეშე ადგილებში 7 მანეთი.

გაზეთზედ ხელის-მოწერა მიიღება თვილისში, „დროების“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ბალაიანის პროსპექტზედ, რეიტერის სახლში.

თვილისის გარეშე მცხოვრებთ ეთხოვთ უმოაჩილესათ, რომ თავიანთი მოთხოვნით გაგზავნონ ხოლომე ამ ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“, при типографіи Меликова и К-о.**

თავს ვაბარებ თქვენს ლოცვა-კურთხევას და დეშთები თქვენდამი კეთილმოდრეკილი.

ნამდვალზედ მისის იმპერატორების უდიდებულესობის საკუთარის ხელით მოწერილია:

პეტერბურგი, **„ალექსანდრა“.**

23 ნოემბერს 1866 წ.

**პოლიტიკა.**

**ოსმალეთი.**

მპირელების და თესალიელების პროკლამაცია.

(გარბელება).

„თანამემამულენო-მუსულმანენო!“

ჩვენ ერთი ინტერესი გვაქვს. ჩვენ იმისთვის ვიბრძვით მამულისა და თავისუფლებისათვის, რომ თქვენი სიცოცხლეც, პატი-

ოსნებაც და ქონებაც უშიშარი იქნეს. თუ ჩვენთან კავშირს დაიჭერთ და ერთობა გექნებათ, მაშინ შეგიძლიათ თქვენი სასაკუთრო ქონება საუკუნოთ ხელ შეუხებელი გახადოთ. ჩვენ, როგორც ქრისტიანების, აგრეთვე მუსულმანების, სიმათლის, სამართლის, პატიოსნების და თავისუფლებისათვის ვიბრძობით. თუ ჩვენთან იქნებით, არც თქვენ და არც თქვენს ქონებას არ შეეცხებით. ამისთანა სამიმო ბრძოლაში გამოსულნი ამაზედ შენაყისის სახელით გეფიცებით. ნუ გვერჩით და არც ჩვენ გვერჩით. ჩვენ მიგაჩინებთ თანამემამულეებათ, თანამოქალაქეებათ და ძმებათ. რა სიმათლესაც ჩვენთვის ეთხოვოთ, იმასვე თქვენთვისაც. მასაქეთ, რაც საქვეყნოთ გამოგიცხადეთ ჩვენი გრძობა, ჩვენგან ნუ ელით შეწყენარებას, თუ კი ჩვენზე გამოხედით.

„თუ ჩვენი თავსაც ვა და ღალატი განიზრახეთ, მაშინ ვი თქვენ და თქვენს ქონებას! მაგრამ რაც უნდა დაგვემართოს, თქვენს სარწმუნოებას და პატიოსნებას მაინც არ შეეცხებით. ჩვენ ყველას ერთი ანგარიში გვაქვს და უნდა ვიბრძოლოთ საერთო მამულისათვის. როგორც ქრისტიანების, აგრეთვე მუსულმანების სარგებლობა ითხოვს, რომ იმათ უსამართლო და უკანონო უფლების უღელი

**შინა არსი:** მმართველობის განკარგულება: — უმაღლესი რესკრიპტი. პოლიტიკა: — მსაღმრთი. — საბერძნეთი. სალიტერატურო ნაწილი: — სამეგრელო. მზის დაბნელება, 22 თებერვალს.

**დამატება:** რამოდენიმე სიტყვა ახალ სასწავლებლის გახსნაზედ, რომელსაც სახელად დაერქვა **ალექსანდრეს შკოლა** მასწავლებელთათვის. **ტელეგრაფები.**

### მმართველობის განკარგულება.

#### უმაღლესი რესკრიპტი.

გამოცემული შენაყისის მმართველის პატრიარხისა და სრულიათ სომეხთა ძათალიკოსის ბევორქის სახელზედ.

უწინდელსა მმართველის პატრიარხსა, ბევორქს!

სასულიერო ასპარეზმა, რომელზედაც დიდხანა თქვენ იღვწით, მოუბოვა თქვენს უწინდელსა საზოგადო რწმუნება სომხის ხალხისა, რომელმანაც თქვენ ამ ჟამად ამოგირჩიათ სომხეთის ბანმანათლებლის, წმინდა ბრიგორის საპატრიარხო ტახტზედ.

რადგან თქვენს მწვემს-მთავრულს მოღვაწეობაში და ეინახე წმინდა სომხის ეკლესიისა და მისი შეილების სულიერი წარმატებისა, რომელიც ფრიად სასურველია ჩემთვის, ყოველად უმოწყალოსად გიბოძებთ აღმასის ჯვარს კიდარზედ სატარებლათ, — სარწმუნოების საღვთო ნიშანს, რომელიც განამხრეებს მწვემსა და სამწყსოთა მათთა.

### ნაამგობი ცმხლსა და წაალუა ბამო-ვლილისა.

ჩვენი აღზრდის და განათლების სურათი.

#### III

როგორც მოგახსენეთ ცხრა წლისა ვიყავი, როცა თვილისში წამიყენეს სასწავლებელში მისაბარებლათ; სასწავლებელი ამოაჩეული ჰქონდათ. არამაქნისანთი. ჩამოსვლის უმაღლესი მამაჩემმა ამიღენა თან და მიმიყენა ხსენებულ სასწავლებელში; იმან შორიდაგანე და მანახვა რაღაცა ერთი დიდი სახლი და მითხრა, რომ სასწავლებელი ის არისო. იმის შეხედვამ წინაწინე გული გადამიბრუნა; მაშინ მომავონდა ყოველი ფერი, რასაც კი შინ მეუბნებოდნენ სასწავლებელზე, — ის იყო ჩემი დასაქვიანებელი ადგილი. როგორც იყო შევედით სასწავლებელში, მამაჩემმა მომხადა ქუდი, მატარა და შემიყენა ზედამხედველთან, იმან სასწავლებელ ოთახში გაგზავნა. ბიჭივინეს უმცროსი კლასის კარები. მამაჩემი შერიბდა. ჩემ მტერსაც ნუ გამოუვლია ის მდგომარეობა, რაც მე ეხლა ენახე და რის მოქმედებაც ჩემზედაც უნდა დაწყობილიყო: შესეულა და ჩემი თვლების ჩამოხრება და სუნთქვის შეხუთვა ერთი იყო. შევეყავ თუ არა თავი, ისეთი ცხელი და მკრალი ჰაერი მეცა, რომ ცოტასგანწყდა თაერეტი არ დამეხია. როგორც იყო შევიმარე თავი. მამაჩემმა მიმიყენა მასწავლებელთან და ჩამაბარა. დამინიშნეს ალაგი და მეც დავეჯექი. მივიხედ-მოვიხედე, ღამის ყველა ყმაწვილები მე შემომბეჭდოდნენ, როგორც ახლასა. მე ვიყავ ეხლა ერთ პატარა ოთახში. მს პატარა ოთახი-ყმაწვილებით გამოკედილი იყო, სამოცდა ათზე მეტი იქნებოდნენ. მს ყმაწვილები მკიდრობის გამო ღამის ზედი-ზედ იყვნენ შემსხდარნი და შეეჭყუებულნი; თავიანთი მას-

წავლებელიც ცოტა გაშორებით, სახლის კუთხეში უბძანდებოდათ. საღვევრზე მივიხედე — ათამდის ყმაწვილები სამთო ცხერებით წამოაჩილნი, რომლებსაც ყველას წიგნები კი ეჭირათ ხელში. მე ასე მეგონა ლოცულობდნენ მეთქი, მაგრამ კარგათ რომ დავაკვირდებოდი, რომ მლოცველობისა იმათ არა ეტყობოდათ რა. ზოგი ნეკრისის ქარისაგან შეხუთულით იღრეჯებოდა, ზოგი ეშმაკობდა, ერთი ერთმანეთს ჩუმით უღიტიბდნენ და სჩქემტამდნენ; ზოგს მამაკვდავივით ფერი მისდიოდა და მოსდიოდა, ზოგს კიდეცა სთვლემდა. მეორე გვერდს მივიხედე — სამი თუ ოთხი ცალფეხზე დგანან, თითქო ასკინკლის თამაშობას აპირებენო, ზოგსაც ხელში წიგნები უჭირათ და მალა აუწყვრიათ. მორიოდეც მასწავლებელთან დგანან, რომელიც იმათ კითხვას უყურებდ; ერთიც კუნჭულში იდგა რაღაცა გამოშტერებული და დაფიქრებული; ეს თურმე საცემრათ იყო მომზადებული. მასწავლებელმა გაათავა თუ არა იმასთან მდგომარე ყმაწვილების კითხვის გაგონება და ყველას თავისი სასყიდელი მისცა, კუთხეში მდგომარესაც გადუხადა ვალი: გაატიტვლებინა, მოატანინა რბილი წნელის წერილათ შებმული კონები და ორმოცზე მეტი ტიტველა ტანზე დაარტყმევინა. საწყალ ყმაწვილს ტყავი დაუსქდა ბევრი ცემით და სისხლმა დაუწყოა დენა, მაგრამ მასწავლებელს კი შებრალება არა ჰქონდა. ბოლოს შევიტყე თურმემ მასწავლებელისთვის სიტყვა შეეებრუნებინა; მასწავლებელს დაეწყოა გინება და იმას ეთქო, რომ არ გეკადრებათო. ამისთვის კიდეც ისე სასტიკათ დასაჯა. ამ ნაირმა სახილველმა ძალიან შემიფიქრა, ცხადათ ვხედავდი სახლში ნათქვამ სიტყვების ასრულებას; მართლა და ბევროდნისძიებას ხმარობდნენ დასაქვიანებლათ. ამის შიშმა გამიტაცა,

გული ამიღელდა და არ ვიცოდი რა მექნა. ამ დროს მოვიდა ჩემი პატივსაცემი მასწავლებელი და მკითხა: შენ, წიგნები გაქვს რამე? — მამაჩემს, ძლივს უბასუხე მე შიშისაგან თავზარ-დაცემულმა. — აბა რა წიგნები გაქვს? მე ამოვიღე ჩემი დავითნი, მხედრული-საც ერთი ანბანი და ა. ტ. ნათარგმნი რაღაცა წიგნი, მგონია მამათ ცხოვრება იყო, აღარ მახსოვს. მიბძანა, რომ წამეკითხა და მეც შევიმარე გული და როგორც იყო წაუკითხე ქართული წიგნი ხუცურითაც და მხედრული ასობითაც. რუსულზე რომ მიდგა საქმე, მე უარი უთხარი, რადგანაც კითხვა არ ვიცოდი — არ იცი და უნდა ისწავლო. ამოვიღე რუსული ანბანიც, იმან გადამიშალა და დამიღო ხელი ერთ ვებერთალა ასობზე და მითხრა, რომ ხვალისთვის ეს ათი ასო (იმან ჩამოთავა) დამეწავლა. დავითხოვეს. ბავწიე შინისავენ. ავიღე ხელში წიგნი, გადავშალე და დაუწყეც კერა, მაგრამ რა მოგიბარებია, რასამთხოვე, რაეცოდი რა წამეკითხა? მორი თავის ასო კი დამახსოვდა — იმათვე მეტი კი ველარა გამეგონებინა რა. ბევრი ვეწავლე, ვიფიქრე, მაგრამ ვერა მოვახერხე რა; მახსოვდა ერთი ორის სახელი კიდევ, მაგრამ არეცოდი კი სად იყო ის ასო. დავანებე თავი. მეორე დღეს ჩველი შკოლაში და არხინათ გამოვიტვიმე ჩემ ადგილზე. მასწავლებელიც მოგვივიდა. მამოყენა ერთი ორი შაგირდი, წაკითხა გაკვეთილი და გაბძანდა გარეთა; თანაც უბძანა წანაკითხ ყმაწვილებსა, რომ დანარჩენებისთვის გაგვანებინათ, იმათაც ჩამოგვიარეს, დავაწყებინეს კითხვა. მინც იცოდა — წაუკითხა, ვინც არა და ზოგმა აუთქო ხვალ დილით პურს მოგიტანო, ზოგმა ყველსაო, ზოგმა ხილსაო, ზოგმა ფულსაო, ოდრონდ ნუ დავგასმენო მასწავლებელთან. ამ საშუალებით გადარჩენეც კემა-ტყეპასა. რიგი ჩე-

მხედრაც მოდგა, რაც არ ვიცოდი რას წაუკითხამდი; ორი ასო კი წამოვიძახე და მესამეც რომ თან მივიტანე, რომელიც სრულიებით იმ ადგილს არ იჯდა, სადაც მე ხელი დავადე — გამაჩერეს და მითხრეს, რომ არ იციო. ამისთვის მეც გამაწერეს ხარჯი, მაგრამ უარი უთხარი, რადგანაც ამისთანა საქმეს ჯერ შეჩვეული არ ვიყავი. მართალია, შინ კი გამეგოდა თველითაც ვხედავდი, რომ უფროსს პატივისცემა ძღვენი უნდა, მაგრამ მე ჩემი ტოლი უფროსათ ვერ წამომეგდინა. ამ უარის თქმამ გამეგონებლმა ძალიან შემომიტია, რატომ გაკვეთილი არ დავისწავლიაო და თანაც შემომიკურთხა. მე, რასაკვირველია, ამ შემოკურთხებას არ მოუთმენდი და სამაგიერო გადაუხადე. იმას ეს ეწყინა და ერთი კარგი ღამითანი თქვენი მოწონებული სილა მტკიცა, ამანვე ძალიან გული მომივიდა, გავხედილი, გამოუვარდი გარეთ, ვეცავე და ერთი ღამითანი პურის ცომივით გავხილე. ამ ბუსტანობაზე შემოგვესწრა მასწავლებელი და იმან გადახადა იმ ნაცემი ყმაწვილის სამაგიერო; გუშინდელ ნაცემზე ნაკლები დღე აღარც მე დამაყენა. რაღა შექმნა და დავითხოვეს და გავიწიე შინისაკენ. მეორე დღეა გათენდა და შინიდან ფეხიც აღარ მოვიცვალე. შინ ამაზე სახლის პატრონმა ხეირი არ დამაყარა, ორიოდე სილაც მითავაზა; იმას მე შინიდან გავეცეცე. ამ დღემ ამნაირათ ჩამაბარა. მეორე დღეს დილით ცხრა საათზე ოთხი მოზდილი ყმაწვილი, ჩემთან მდგომი ყმაწვილით, სალდათებით თავს დამადგნენ. მსენი მასწავლებლისაგან იყენენ გამოგზავნილნი. დამეცნენ თავზე, შემიკრეს ხელები და კაცის-მკვლედი ტუსალივით ჩამიყენეს შუაში და ჩამათრიეს მასწავლებელთან. წინაწინ ბევრი უძალიანდი, მაგრამ ერთი ოთხთან რას გავაწყობდი? — ისევ დამოაჩილება ვარჩიე. მასწავლებელმა

გარდაიღონ. რომ ჩვენი განზრახვა გულწრფელია, ამაში დარწმუნდებით მაშინ, როდესაც შეიტყობთ იმ პირების სახელებს, რომელნიც დროებით მმართველობას შეადგენენ. აი ეს პირები: ანდრია ძუსიფაკი, პრეზიდენტი; ნ. პროტასინგაო, ძ. ძუსიფაკი, მ. კოსმა, მ. მაკრომატი, ძ. ბუდოლა, დროებითის მმართველობის წევრები; მ. პული-სეკრეტარი. დროებითი მმართველობა არა თუ მართლ უნდა წაუძღვეს სამხედრო საქმეებს გასათვის-უფლებელ ომის დროს, არამედ იმან უნდა იზრუნოს, რომ არაფერი მოიკლას, გაიკარცოს, გაუპატიურდეს და ან არაფერი სარწმუნოება შეიგინოს.

ქრისტიანთა ახალი და ძველის ქვეყნისათვის. უმეფეოთ ნუ დაგვადებთ! ხალხები ერთმანეთს უნდა ემსახურებოდნენ. იქნება იმისთანა დღე დადგეს, როდესაც ჩვენი შემწეობა თქვენთვისაც საჭირო გახდეს. ამა იფიქრეთ, რამდენი ხანი მონაობაში ვიტანჯებით! შეისმინეთ ჩვენი ვედრება. მს არის ვედრება დაზარალებული ქრისტიანებისა, რომლებსაც სისხლსა სწუწინან! მს არის ვედრება დაზარალებული ელღინებისა, რომლებსაც თავისუფლებისა და სარწმუნოებისთვის ბევრჯერ თავისი სისხლი დაუღვრიათ! ბრა გვეჯერა, რომ ამისთანა განსაცდელში კიდევ ჩავგვადოთ. თქვენც კარგათ იცით, რამდენი მმართველობა როგორია? ნეტავი თუ ერთ დღეს გაუძლოთ თქვენ ამისთანა მმართველობას! იმისთანა ვინ იქნება, რომ კიდევ ჩვენი მონაობაში ჩავარდნა მოიწადინოს! ღმერთი ამას გიბრძანებთ, თანაგრძობა გამოგვიცხადოთ, მოგვცეთ შემწეობა და კეთილი რჩევა. მთ თქვენ მოინდომებთ, მონაობა ქვეყანაზედ ვერ დამაგრდება. ჩვენ ავიღეთ ხელში იარაღი განათლებისა, კაცთ-მოყვარეობისა და სარწმუნოებისთვის, რომელსაც თქვენც აღიარებთ! ღმერთმან აკურთხოს ჩვენგან დაწყებული საქმე! ჩვენ დაგვიფიცნია იმის სახელზედ; ან უნდა დავიხიროთ, ან თავისუფლათ ვიცხოვროთ!

არც ამ დღეს გამოიშვა უსაჩუქროთ. ამ ნაირს მდგომარეობაში ვიყავი ლამის ოთხი თვე. მე რუსული ანბანი ვერ დავისწავლე და მასწავლებელიც ხან მარტოებდა, ხან ცალფეხზე მაყენებდა, ხან მუხლებზე დანაყილ აგურს მიყრიდა, ხან თითისწვერებზე ლინიკით მცემდა, ხან როზგით და ხან მიჯავრდებოდა, მაგრამ მე კი ვერა მიშველა რა. მერას გზით, ვერას-ლონისძიებით ვერ დამსწავლა რუსული კითხვა, თუმცა კი მეც ძალიან მიწოდდა იმისი სწავლა და არც უნებო ვიყავი. მაშ მიზეზი რა იყო? — მასწავლებლის დაუდევრობა. ის მე არ მიჩვენებდა ასოებსა და მეც გულთამბი-ლაფი ხომ არ ვიყავი, რომ გამეგო რას რასა-ხელი ჰქვია. ბოლოს ილაჯი რომ გადუწყდა სასჯელების გამოგონებაში, მიმაბარა ერთ პატარა ყმაწვილს, რომელსაც სახლშივე ესწავლა კითხვა. ის ყმაწვილი დღეში ერთხელ მიჩვენებდა ხოლმე თითო-ორი ასოს და მეც ესწავლებდი. მოტოტოტ შევიფიქვე იმათ გამოთქმას. მაგრამ კითხვა მაინც კიდევ ვერ ვისწავლე; ბევრი ასოები უცნაურათ მიჩვენებოდა; ეს იმისთვის, რომ მე იმდენი დროება არა მქონდა ყმაწვილის ნაჩვენები მომეფიქრა და დამხსომებოდა. სახლში ხან აქეთ მიკრამდნენ თავს, ხან იქით და რუსულ წიგნს ჩემთვის საზღვართა ეძინა — ვერ გავიკეთე. მით დღეს კიდევ ჩამოველ სასწავლებელში და გავიკეთე ჩემ ამხანაგებში, იმეებში, რომლებიც ჩემსავით ვერა სწავლობდნენ. ისინი ცელქობდნენ, თამაზობდნენ, მღეროდნენ; ჯერ მასწავლებლის მოხელის დრო არ იყო. სხვათა შორის იმათ იმღერეს ვინიციის ვისაგან, მაგრამ ამ სასწავლებელში და ამისთანა მდგომარეობაში მყოფთაგან გამოგონილი ლექსი:

მართით და ფიქლით,  
მე აქ ვერას ვისწავლით;  
დამითხოვეთ შინ წაიღეთ.

წყეული იყოს იმისი სახელი, ვინც განვიდგეს, ან ეს ფიცი გატეხოს! რადგანაც დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი საქმე სამართლიანია, ამისთვის ჩვენ შევსწორავთ ჩვენს სი-ცოცხლეს, ქონებას და ყველაზედ უძვირფასეს საუფრესს — პატიოსნებას ჩვენის სიმართლის დასაცველათ.

ბოცოცი, 26 დეკემბერს 1866 წ. — საბერძნეთის გაზეთში „მინოსში“ გამოცხადებულია შემდეგი დოკუმენტი:

მართის და მსხალის დროებითი მმართველობა უ. უ. კონსულებს.

მალათა ვრაცხთ გამოგვიცხადოთ თქვენ ის მიზეზები, რომლებს გამო ჩვენ ძალდატანებული ვიყავით ავგელო ხელში თოფ-იარაღი; ჩვენსა და მსმალეთს შორის მოისპო ყოველგვარი პოლიტიკური ურთიერთობა. მიზეზები ამ გვარის ჩვენის მოქმედებისა მოხსენებულია ქვემოხსენებულს პროკლამაციაში. კეთილ-ინებეთ, რომ გაუგზავნოთ თქვენ მმართველობაებს ორივე დოკუმენტების პირები, რომ თქვენი მმართველობაები დარწმუნდნენ ჩვენი გრძნობის სიწინდელში.

უ. უ. კონსულებო, თქვენ, რასაკვირველია, კარგათ იცით, რომ მტრმანის იმპერიაში საზოგადო წესი არ არსებობს და არა ვითარი სიმართლე არ არის.

თქვენ იცით, რომ ჩვენ დიდს და დაუსრულებელს შევიწროებთ ვართ. თქვენ იცით აგრეთვე, რომ ჩვენ უსამართლო ხარჯს გვართმევდ და ქრთამს და საჩუქრებს ბევრს გვთხოვენ. თქვენ ჩამოგითვლით მსმალეთის მმართველობის უმთავრეს ბოროტ-მოქმედებაებს: 1) სადამოყრთ ბაჟი თამბაკოზედ დაწესებული იყო 1866 წლამდის, ერთს ოყაზედ დადებული იყო ერთ ნახევარი პასტრი; ახლა ერთ ნახევარის პასტრის მაგიერად ჩვენ გვართმევდ 12 პასტრს. 2) ბაჟიყურძენზედ დადებული იყო ათი პროცენტი იმის საბაზრო ფასიდან; ახლა ჩვენ გვართმევდ ბაჟს 30 პასტრს ას ოყაზედ, მაშინ როდესაც ამ ყურძნის გაყიდვა 40 პასტრზედ მეტად არ შეიძლება. ამას გარდა ჩვენ ვაძლევთ 7 პასტრის ყოველს მიწის ნაჭერზედ. 3) უწინ ჩვენ ვიხდიდით თითო ცხვარზედ და თითო თხაზედ ერთს პასტრს; ახლა ჩვენ გვართმევდ სამს პასტრს. 4) მსმალეთის მმართველობამ მოითხოვა ჩვენგან სესხად 20 მილიონი პასტრი; ჩვენ ვასესხეთ. ამ ფულის მაგიერად მსმალეთის მმართველობამ მოგვცა ჩვენ ასიგნაციები (კაიმი), და დაგვიპირდა, რომ მმართველობა მიიღებს ამ კაიმის ერთის წლის ხარჯში; მსმალეთის მმართველობიდან დანიშნული დრო გავიდა; მმართველობამ გამოგვართვა ჩვენ ეს კაიმი ძალით იმ მიზეზით, რომ იმას ფული არა აქვს ამ კაიმის გამოსასყიდლათ. 5) მთხი წელიწადია, რაც მსმალეთის მმართველობამ შეკრიბა დანიშნულს დროზედ წინათ ნახევარ წლის ხარჯი და დაგვიპირდა, რომ ამ ფულს გამოიციხავს იმ ხარჯიდან, რომელიც მეორე წელში უნდა გადაგვხდებოდა; მსმალეთის მმართველობას არც კი მოუფიქრია, რომ ამ პირობას აღსრულება უნდოდა. 6) ჩვენ ვკაფადით ტყეს ელექტროს ტელეგრაფის გასამართავად; ჩვენ სამუშაოში ერთი გროშიც არ მიგვიღია და ამას გარდა ყოველს ოჯახს შეაწერეს 20 პასტრი ელექტროს ტელეგრაფის გასამართავად. 7) ჩვენ გადავხდით მასალა მრავალის კაზარმების გასამართავად; ესჭირდით ტყეს და ვცეხამდით ჩვენის ხარჯით ღურგლებს და კალატოზებს. 8) უწინ ჩვენ ვაძლევდით მარჩილში ერთ ოყა ნახევარს პასტრს; ახლა ჩვენ ვაძლევთ ერთს პასტრს. 9) ჩვენ ვაძლევდით ყოველს მასრაში სადამოყრთ ბაჟს 18 პასტრს ასზედ; ახლა ჩვენ მოგვიბატეს ბაჟი 2 1/2 პროცენტით. 10) შოველს მასრაში, დიდს გზებზედ მსმალეთის მმართველობა იღებს სამს პასტრს ყოველს კაცზედ, რომელიც ან ფეხით, ან ცხენით გაივლის ამ გზებზედ; აგრეთვე თითო ცხვარზედაც ერთს პასტრს იღებენ. 11) შო-

მლოველას ვისწავლით.

ამ სიტყვებს როგორღაც მოქმედებდა ჰქონდათ ჩემზე, ამით მე ჩამაფიქრეს. მს რჩევა მე მომეწონა, ჰკუაში დამიჯდა, ვსთქვი: მე აქ მართლა მაინც არასა ვსწავლობ და ტყუილ უბრალოთ ლამის ყოველდღე მაწავლებენ; მოდი წავალ შინ და იქ ვიქნები. მსთქვი და ავასრულე კიდევაც: მეორე დღეს დილით (ქრისტიანობის პირველი თუ მეორე კვირა იყო) გამოვიხივე ხელცახოცში ნახევარ პური და ცოტაოდნიც ყველი, წიგნიც ავიღე ხელში, მითომ სასწავლებელში მივიდივარ, და გაუდევქი ჩვენი სოფლის გზას. მართალია ცოტა ცივი ქარიანი დღე იყო და თან ცოტა თოვლიც მოდიოდა, მაგრამ მე მაინც არ დავიშალე — საღამოზე თავი შინ დაუკარი. ჩემი მოსვლა ჩემდღე-მამას, რასაკვირველია, გაუკვირდათ მაგრამ მე დავარწმუნე, რომ საშობაოთ დაგვითხოვეს მეთქი; იმათ დამიჯერეს და მეც არხინათ მოვიკეცე ბუხრის წინ. სოტა მოვსურთიელი და თანაც ვიმედოვნებდი, რომ ეს არის გადავიჩი შკოლის ყოველგვარ წვალებასა. მამაჩემმა ცოტაოდნათ იცოდა კითხვა რუსული წიგნისა, ის მომისომდა ხოლმე გვერდით და მაკითხებდა. მრ კვირას ლამის ყოველდღეს მეკვირა ხელში ანბანი და ვსწავლობდი — კარგათაც ვავიკეთე. ამ დროების განმავლობაში მამაჩემს მოუვიდა წიგნი: „შენი შეილი სასწავლებელიდან გამოიპარა და თუ შენთან არის დღესასწაულის შემდეგ უცქველათ ჩამოიყვანეთ.“ იმან ამ საქმისთვის და მოტყუებისთვის თავისი მამაშვილური ვალი გადამიხადა — თქვენ მოწონებულათ გამლანა. ამ დღესასწაულსაც ბოლო მოვლო და მეც ისევ ჩამართიეს ტფილისში. გამოცხად-დი სასწავლებელში. აქ ჩამაშამეს სოფელში განაწივეი ქეთი: ჯერ გამწკვალეს ზედამხედველის ბძანებით და მასუკან ორი კვირაც

ველი ჩვენი ქონება დაფასებულია; ჩვენ ყოველ წლივ გვართმევდ 40 პასტრს ყოველწლივ; 12) ხარჯი ყველაზედ ერთ წაჭრულ წიგნზედ, რომელიც კაცზედ, ისე პირუტყვზედ და ქონებაზედ; ამ რიგათ ყველა სახლობა წელიწადში აძლევს ხარჯს 200 პასტრს. 13) მსმალეთის მმართველობა დაისაკუთრებს ყოველი ქრისტიანის ქონებას, თუ ის უშვილო მოკვდა. 14) მსმალეთის მმართველობა ითხოვს 5 პროცენტს მამულის ღირებულებად, რომელიც მეშვიდროებით გადადის მეორე წლოვანებს შეიღებზედ. 15) ჩვენ უნდა წარგვედგინა დოკუმენტები მიწის მეპატრონეობის სიმართლეს; ამ დოკუმენტების მაგიერად მსმალეთის მმართველობამ დაგვირგა ჩვენ ახლები და დაგვადვა ხარჯათ 10 პასტრი თითო მიწის ნაჭერზედ. მისაც ეს დოკუმენტი არა ჰქონდა, იმას მსმალეთის მმართველობა ართმევდა მიწებს, და ჰყიდა საყოველთაო ტორგით. 16) წარსული წლის 1 სექტემბერს ჩვენ, ფაშების მოთხოვნისგან, უნდა გამოცხადებულყოფიყავით სატახტო ქალაქში. იქ ჩვენ წავგიკითხეს სულთნის დეკრეტი, რომელშიაც მოხსენებული იყო, რომ უწინდელის ხარჯის გარდა ჩვენ უნდა ვაძლიოთ 30 პროცენტი ჩვენის შემოსავლიდან, რადგანაც სულთანი უნდა ეომოს კანდილებს, რომლებიც იმის უფლების წინააღმდეგნი შეიქნენ. თქვენ ცხადათა ჰხედავთ, უ. უ. კონსულებო, რომ მსმალეთის უფლების ქვეშ დარჩენა აღარ შეგვიძლიან. თქვენ დარწმუნებულნი ხართ აგრეთვე იმაში, რომ მთელს ქვეყანაში არც ერთს ხალხს არ შეეძლო იმდენი მოთმინება და თავ-განწირულება გამოეჩინა, რამოდენიც ჩვენ. მაგრამ მსმალეთის მმართველობამ არ დაჰხედა არც ჩვენს მორჩილებას და არც განათლებულის მერაპის გონიერულს რჩევას, ისინი ისევ უწინდებულად მოქმედებდნენ. ჩვენთვის ერთი გზა და რჩევა მივანდობთ ჩვენს ბედს ღმერთს, იარაღის ძალას და ვსასოგებთ ქრისტიანების გულ-მტკივნელობაზედ.

მუხლისკერებზე ვერაქ მასწავლებლის ბძანებით. შევესრულე ეს ვალი. ამას იქით ცემატყევა ისე ხშირათ აღარა მქონდა; წიგნის კითხვა სახლში ვისწავლე და სხვა საქმე აღარა მქონდა. მს კი იყო, რომ ყოველდღე ვერა ვკითხულობდი წიგნსა შინაურის საქმეების გამოისობით და ამიტომ ჩქარა კითხვაც ვერ ვისწავლე; ხანდახან ამისგულისათვის მომხედებოდა ხოლმე და კიდევ წერისათვის; წერა არ გამძნელებია ძალიან, რადგანაც დედნები ეიშოვე და იმის მიბაძვით ვსწავლობდი, როცა კი დრო მექნებოდა. შოველისფერი ჩვენით, ჩვენი მოფიქრებით უნდა გავგვეკეთებინა, მასწავლებელი მართა საცემრათ გყავდა და სულქვემ უნდა ვსთქო, რომ ძალიან ხელოვნებით ასრულებდა ამ თანამდებობასა, ძალიან დახელოვნებული იყო ამ საქმეში. ამის გარდა, როგორც მახსოვს, ის თავისებურათ ძალიან ჰქვია და ეკონომიური კაცი იყო. ჯამაგირი ცოტა ჰქონდა და ამისთვის თავსაც არ იწყენდა ბევრის სწავლებითა; არც ჯიბის შემსებაში იყო ვაგლანი, ძღვენის გარდა, რომელიც ყოველ სოფლიდან ჩამოსულ შაგირს უნდა მიერთებია, იმან ხარჯის გაწერა იცოდა წელიწადში ექვსჯერ მაინც: ხან იტყოდა რომ-მელი და ღრუბელი უნდა გიყიდოთ და ამისთვის ოროლი შაური მოიტანეთო, ხან მოიგონებდა, რომ საწერი ფიცარი უნდა შევალეზო და ამისათვის თითო აბაზი მოიტანეთო, ხან მოიგონებდა, რომ საწერი დედნები უნდა ვიყიდოთ და ამისთვის თითო მანეთი მოიტანეთო, ხან ცივა და ბუხრის გასახურებელი შეშაო და კიდევ თითო აბაზი მოიტანეთო; თუმცა კი ღრუბელი და მელი, დედნები და ბუხრისთვის შეშაც ზედამხედველისაგან გვეძლეოდა და საწერიცარსაც თავსდღეში შედებოდა არა ღირსებია. სხვასაც კიდევ ბევრ რასმე მოიგონებდა ხოლმე და

ფულს გავაწერდა. მითი სიტყვით ჰქვია იმცოდნე კაცი იყო და ამ ცოდნით სარგებლობდა. ხომ მოგახსენეთ, რომ ზაფხულში ავით გავხდი მეთქი — ამ ავითყოფობის გამოისობით ისევ იმ პატიოსანი მასწავლებლის ხელში დავრჩი, ისევ იმ ხარჯ ქვეშ და ისევ იმ პატარა სახარობელა ოთახში. რაგაწყობოდა? დავემორჩილე ჩემ ბედსა და წერასა. ჩემ სწავლაში ეხლა დაიწყო მეორე ეპოქა. აქამდინ ხომ წერასა და კითხვას ვსწავლობდი — ეხლა დამაწყებინეს ზეპირათ სწავლება სხვა და სხვა წიგნებისა. მომცეს ხელში ჯერ რალაცა ისტორია, დამინიშნეს რამდენიმე სტრიქონი და მიბძანეს ხვალისთვის ზეპირათ დამსწავლა. როგორც მოგვხსენებთ ათი წლის ყმაწვილის მესხიერება ცხოველია და ამ დღეს როგორც იყო დაესძლიე ჩემი გაცვეთილი, რაც თავისუფალი დრო მქონდა სულ წიგნი მეკვირა ხელში და ვწვირობდი. ბავიზებირე კი და არ ვიცოდი შიგ რა იყო, ამ მთისა იყო თუ იმ მთისა — გაუგებლათ და შეუგნებლათ შიგ მდებარობისა; ბავიზებირე, მაგრამ ისე კი, რომ რაკი დავიწყობდი, მათრახითაც რომ თავზე დამდგომოდნენ, ვეღარ გამაჩერებდნენ თავდაღმართზე დაქანებული კაცივით. მეორე დღეს ისე სხვა — სხუბით წაუკითხე, რომ ჩემი სიტყვებიდან მართა ზიზინი ისმოდა, სხვა არაფერი. მითი სიტყვით მეორე დღეს მასწავლებელს ჩემი გაცვეთილი ჯორის ტლინკებით დავაყარე რომელ გამოხატულებასაც ხმარობენ ჩვენ სასწავლებელში. მასწავლებელსაც ეს უნდოდა, მომიწონა და თანაც სამუშაო მომიმატა. მით ორ თვეს როგორც იყო გაუძელ ამისთანა უღმერთო ჯაფას და მასუკან კი ტინმა როგორღაც სამსახურში უარისთქმა დამიწყო, თანაც თავის ტკივილი შემომეჩვია. მს რომ დავატყე ჩემ თავს, ძა-

ფულს გავაწერდა. მითი სიტყვით ჰქვია იმცოდნე კაცი იყო და ამ ცოდნით სარგებლობდა. ხომ მოგახსენეთ, რომ ზაფხულში ავით გავხდი მეთქი — ამ ავითყოფობის გამოისობით ისევ იმ პატიოსანი მასწავლებლის ხელში დავრჩი, ისევ იმ ხარჯ ქვეშ და ისევ იმ პატარა სახარობელა ოთახში. რაგაწყობოდა? დავემორჩილე ჩემ ბედსა და წერასა. ჩემ სწავლაში ეხლა დაიწყო მეორე ეპოქა. აქამდინ ხომ წერასა და კითხვას ვსწავლობდი — ეხლა დამაწყებინეს ზეპირათ სწავლება სხვა და სხვა წიგნებისა. მომცეს ხელში ჯერ რალაცა ისტორია, დამინიშნეს რამდენიმე სტრიქონი და მიბძანეს ხვალისთვის ზეპირათ დამსწავლა. როგორც მოგვხსენებთ ათი წლის ყმაწვილის მესხიერება ცხოველია და ამ დღეს როგორც იყო დაესძლიე ჩემი გაცვეთილი, რაც თავისუფალი დრო მქონდა სულ წიგნი მეკვირა ხელში და ვწვირობდი. ბავიზებირე კი და არ ვიცოდი შიგ რა იყო, ამ მთისა იყო თუ იმ მთისა — გაუგებლათ და შეუგნებლათ შიგ მდებარობისა; ბავიზებირე, მაგრამ ისე კი, რომ რაკი დავიწყობდი, მათრახითაც რომ თავზე დამდგომოდნენ, ვეღარ გამაჩერებდნენ თავდაღმართზე დაქანებული კაცივით. მეორე დღეს ისე სხვა — სხუბით წაუკითხე, რომ ჩემი სიტყვებიდან მართა ზიზინი ისმოდა, სხვა არაფერი. მითი სიტყვით მეორე დღეს მასწავლებელს ჩემი გაცვეთილი ჯორის ტლინკებით დავაყარე რომელ გამოხატულებასაც ხმარობენ ჩვენ სასწავლებელში. მასწავლებელსაც ეს უნდოდა, მომიწონა და თანაც სამუშაო მომიმატა. მით ორ თვეს როგორც იყო გაუძელ ამისთანა უღმერთო ჯაფას და მასუკან კი ტინმა როგორღაც სამსახურში უარისთქმა დამიწყო, თანაც თავის ტკივილი შემომეჩვია. მს რომ დავატყე ჩემ თავს, ძა-



არა და მომდინარეებენ გელეგორის მთიდან, ესე იგი: შანის-წყალი, ხობის-წყალი, ცივი, ტეხური და აბაშა. შანის-წყალი და ხობის-წყალი ჯერ ერთმანეთს უერთდებიან, მასუკან ზღვაში ერთიან; დანარჩენი მდინარეები რომინი ცივიანი. იმათში არც ერთი არ არის ნავით სასიარულო, გარდა ხობის-წყალისა, ისიც ზღვის მახლობლად (1).

შანსხვევებულა აქაური ჰავა, უკეთ ვთქვათ, კლიმატი. როგორც ვიცით, ჩვენი მხარე ორ ნაწილად არის გაყოფილი—აღმოსავლეთის საქართველოთ და დასავლეთის საქართველოთ; იმათ საზღვრავს ლისი-მთა, ან სურამისა და ახალციხის მთა. მათს ნაწილზედ მოქმედებს ხმელეთის კლიმატი; მეორეზედ ზღვისა. ეს არის უმთავრესი მიზეზი, რომ აქ ბარს სულ სხვა თვისება აქვს, ვინამც დანაშთენს ჩვენს მამულს. აქ გავაფხული იწყება თებერვალში; ამ დროს ზოგი ერთი ყვავილი ყვავის, ტყე იშლება, ხეხილი კოკორს იკეთებს. პარლში ცხელა. ზაფხულში, ივლისიდან სექტემბრამდე, დიდი სიცხე დგას: ჰაერში ჰაანაქება; ტყის ფოთლები ყვითლდება და სცივია; ხინოტიე ძალიან არის; ღამეები ცივია. ამ დროს ხან და ხან უბერავს ერთ-გვარი ქარი, რომელსაც აღმოსავლეთის ქარს უწოდებენ; ისა სცივს სურამის მთის მხრიდან და თუ რამდენსამე დღეს გასწევს, დიდათ მცენებელია: ჰაერს აშრობს, მთელის ბარი-იმერეთის და სამეგრელოს ნაყოფიერებას ახმობს, მოსავალს აფუჭებს. ამ ქარის გამო ისე ხურდება ჰაერი, რომ ადამიანს გარეთ გამოსვლა ეძნელება: ის ოფლში იწურება, სუნთქვა ეძძიმება. შემოდგომა იწყება სექტემბრით. ეს დრო თითქმის უკეთესი დროა: ტყე ახლათ ყვავის; მაგრამ ბურუსი და წვიმა ხშირია; წვიმს ხან-გრძლივ და მსხვილათ. ღვეკმბრადმ დგება ზამთარი, რომელსაც მოაქვს ნოტიო სიცივე; თოვლი იცის იანვარში და თებერვალში, თუმცა დიდხანს არა ძევს; ქარი და ქარიშხალი ხშირია; ტალახი დიდა; წვიმის უფროსი კვირით ასხავს. ამ მიზეზის გამო დაცემულს ადგილებში გროვდება ჰაობები, რომელნიც ჰაერს ძალიან ახაშმიანებენ. რა საკვირველია, ცუდი ჰავა უფრო ზღვის პირათ იცის. სიბე-ცხელება, ტიფი ან სახადი, წყალმანი, თვალისა და ფილტვის ანთება, სისხი გავრცელებულია. სხეულება ხშირდება უფრო ზაფხულის მიწურებდამ. (2) ამ გვარს თვისებას ბუნებისას განსხვავებული მოქმედება აქვს ადამიანზედ. ამის გამო ბარის მცხოვრებნი—იმერლები, გურულები, მეგრელები აგებულებით არიან სუსტნი და ნაზნი; თვით იმათი სახის—მეტყველება უფრო ქალის სახის—მეტყველებას მიემსგავსება; იმათში იშვიათია ვაკუტური და მხნესახის—გამომეტყველება, რომელსაც ეპოლოზთ ზემო-იმერეთში, მესხებში, ქართლელებში და კახელებში. ამ მხარის ნაყოფიერებაც ამგვართვე განსხვავდება. ის უხვია. ბუნება ისე უწყობს ხელს ადამიანს, რომ ადგილ-ადგილ გარეული ხილი შინ მოვილილს და ნაპატივებს არა თუ უღრის, უკეთესიც არის. პური აქ იშვიათია. საზოგადოთ იხმარება ღომი და სიმინდი; ადგილ-ადგილ მოდის ბრინჯი, რომელსაც ხალხი ორიზას (oryza) უძახის. დიდხმარებაშია და ძალიან ვრცელდება ბამბა; გარდა ამისა ძალიან ხარობს აბრეშუმი, ვაზი. მენახი სამეგრელოში მალარია: დაბლარი იშვიათია. სიმინდი მოდის უმეტესათ დაბალს ადგილებში, მდინარეების პირათ; ღომი, ბამბა და თამბაქო მალაობის კიდებში და ფერდობებში; უკეთესი თამბაქო მოდის წალენჯიხში და მომიჯნავე სოფლებში. მავი ხარობს გორიანს და

სერებიანს ადგილებში. ამ გვარს ადგილებს ეკუთვნის შემდეგი სოფლები: უშაბათი, სალიპარტიანი-სალხინო თავისი ოჯალეშით, აბედათი და სხვა. სამეგრელოში ბამბას, აბრეშუმს და ვაზს რამდენიმე წელიწადია სწელება არ ეშვება; ვაზი სულ თურმე გაჩანაგდა. სამეგრელოს ნაყოფიერებაზედ ჩვენ დავუფიქრებთ მეგრის—კორკესპონდენტის სტატის, რომელიც ამ წლის „დროებაში“, № 3, დაბეჭდილი იყო და ამისთვის ამ საგანზედ გავრცელება ჩვენის მკითხველებისთვის საჭიროთ აღარ მიგვაჩნია. სასიხარულოა, რომ კორკესპონდენტის სიტყვით, მეგრელები შრომას და აღებ-მიცემობას ეჩვევიან. მკვი არა გვაქვს, სამეგრელო მკორე ხანში სულ გამოიცვლება საუკეთესოთ. ღმერთმაც ინებოს. ამ სტატის ავტორი თავისის მხრით საჭიროთ ხალხს დაუმატოს, რომ, როდესაც, ორის წლის წინათ, იმას სამეგრელო გაუყვლია, დიდი ცვლილება შეუქმნაღეს უწინდელის დროს შედარებაში: იმას გზის პირათ ტყეები გააფუჭი დახვედრია და საესე ბოსტნებით და ქირახულით. ბარდა ამისა აღებ-მიცემი და მოვარე მეგრელები უნახავს აქა-იქ დაფანტული სამურ-ზაყანოში და აფხაზეთში; თვით სოხუმის ვაჭრობა თითქმის იმათ ხელში ყოფილა. ამ შემთხვევას სიამოვნებით წარმოვიდგენთ ხელში.

იმ სიამოვნებასაც არ დავიფიქრებთ, რომელიც აქ თვით მგზავრობაში გვინახავს. მართალია, სამეგრელოს გზები შესაწუხარია, ქაობები და მდინარეები საშიშია, მაგრამ, როდესაც ჰხედავ მშენიერს მინდერებზედ მშენიერად დახვეულს ტყეებს, რომელიც მუდამ მწვანე სურათს და ვაზებით არიან გადახვეულ-გადმოხვეულნი; როდესაც მოგონებთ გასაცარს მდებარეობას, რომელიც შემოხლულია დათოვლილის მალაის მთებით საათაბაგოს, აფხაზეთის და სვანეთის მხრით და ლაქვერდის ფერის ზღვით, მზის შარვანდელი ანუ მთვარის შუქი რომ აცხოველებს და სადაც ცეცხლის ხომალდები, იალქნიანი გემები და ნაეები დაფრინავენ, მაშინ ძნელიც არის ამ მხარის დავიწყება. თქვენ გგონიათ, სამოთხის მსგავს ვრცელს ბაღში იმყოფებით. მაშ არც ის უნდა გვიკვირდეს, რომ ამ მხარეს ძველათვე ველთოდნენ განათლებულნი ბერძენნი და რომაელები, რომელთაც კელი აქამომდე დაჩინილია მრავალი კვლია აგრეთვე საქართველოს ერთობისა და თვით ლაღანების მთავრობისა. აქ ხშირია ციხესიმაგრეები, ეკლესიები, მონასტრები; იმათში ზოგნი დაბლობში დგანან და ტყით არიან დაბურულნი, ზოგნი მთებზედ მდებარებენ და შორს გასცქერიან. სწობის-მოყვარე მოგზაურს, მეტადრე არხეოლოგს, ისინი მთელს ისტორიას მოუთხრობენ. მართალია, ბერძენების და რომაელების შენობებზედ ის წარწერებს ვერ პოულობს, მაგრამ სიმტიცე და სივრცე იმათი, მეტადრე ნაქალაქევისა ანუ არხეოპოლისისა, ცხადათ უმტიციებენ, რომ აქ იმათ ხანგრძლივი ბინა ჰქონათ. ასეც ყოფილა, როგორც ჩვენი ხრონიკა გვიმოწმებს. აფხაზეთ-მართველთ მეფეების და მეტადრე ლაღანების დროს ეკლესიები საესეა წარწერებით კედლებზედ და ვერცხლით და ოქროთ შეჭედლის ხატებზედ. ხშირათ არის ნაამბობი, ლაღანთავანი რომელი რა ხასიათის კაცი იყო, რით ისახელებოდა, სად უბრძოლენია იმას; რა ადგილები დაუბყრია, სამთავროს საზღვრებ სად დაუდგია, ერთის სიტყვით, როდის რა მოხდარა. რადგანაც საქართველოს ისტორია მოკლეთ იხსენებს სამეგრელოს ცხოვრებას, ამისთვისაც აქაური წარწერები ბევრით შეამსებენ მართლის-მცხოვრებას. ახლა თითქმის არც ერთი წარწერა არ არის, რომ გადმოღებული და გარკვეული არ იყოს. ეს შრომა დავგდო ჩვენ, როგორც ზემოთა ვთ-

ქვით, უ. ბროსემ თავის „არხეოლოგიურს მოგზაურობაში“.

(შემდეგი იქნება.)

**მზის დაბნელება,**

რომელიც მოხდება 22 თებერვალს.

